



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N15

ქ. ლანჩხუთი

28. 10. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბერს N2010 განკარგულებით მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500000 (ხუთასი ათასი ლარი), რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 90590 ლარი და არსებული ხიდების მოწყობაზე 404910 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის N2125 განკარგულებით კერძოდ შემცირდა გზების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა 1337 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის მომართვის საფუძველზე სამსახურს მიზანშეწოლილად მიაჩნია, რომ ოფისის ხარჯის 570 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 570 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სამღმრთელო ცენტრის სახელფასო ფონდის 24000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 21200 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 2800 ლარით.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შემცირდეს კულტურის ღონისძიებების პროგრამა

(050202 ორგ. კოდი)-600 ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა (0503 ორგ.კოდი)- 1203 ლარით და გაიზარდოს სპორტული ღონისძიებების პროგრამა (050102 ორგ.კოდი) 1803 ლარით.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე შემცირდეს ბიკარბონატული ჰემოდიალიზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობის დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის (060201 ორგ.კოდი) 1000 ლარით და გაიზარდოს ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (060214 ორგ.კოდი) 1000 ლარით, მაგრამ რადგან სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაში საჭიროა ფინანსების დამატება, ამიტომ მიმდინარეობს მსჯელობა, რათა ოპერაციების თანადაფინანსებთან დაკავშირებით დაემატოს 10000 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 22360 ლარით. აღნიშნულის ზრდა განხორციელდეს ბიუჯეტში ჯარიმებისა და საურავების გეგმის ზრდის ხარჯზე 22360 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაშვილმა** აღნიშნა, რომ ამ ცვლილებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრი **კახა თედორაძე** დაინტერესდა ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს გამოეყო 500000 ლარი. ტენდერი უკვე გამოცხადებულია და მისი დამთავრებისთანავე დაიწყება შესაბამისი სამუშაოები. გარდა ამისა, მთავრობის მხრიდან არის დაპირება კიდევ 2 მლნ. ლარის დამატებასთან დაკავშირებით. ოღონდ ეს იქნება გარდამავალი პროექტებისთვის. გაკეთდება 7 ხიდი: სოფელ მოედანში 3, ჩოჩხათში, ნიგვზიანში და მაჩხვარეთში 2 ხიდი.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, საკმარისი იქნება თუ არა 10000 ლარი, რათა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა არ გაჩერდეს და თუკი შესაძლებელია, გამოინახოს რაიმე საშუალება, რადგან ეს პროგრამა ძალიან მოთხოვნადია და კარგადაა მორგებული სოციუმზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ეს თანხა ნამდვილად არ არის საკმარისი. მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტის გათვალისწინებით, აუცილებლად გადასახედი იქნება აღნიშნული პროგრამა, მით უმეტეს, რომ სახელმწიფოს აქვს ამ კუთხით თანადაფინანსების მრავალი პროგრამა. მისი

განცხადებით, ეს პროგრამა მუნიციპალიტეტში აუცილებლად უნდა დარჩეს, მაგრამ გარკვეულ დონეებზე განსახორციელებელია შეზღუდვები, რადგან პრაქტიკამ ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თანადაფინანსებას ვეღარ გაწვდება.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 55 (28.10.2019)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს მომართა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2019 წლის 10 ოქტომბრის N5/60005 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოლობარგში მდებარე 1444 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N27.04.51.275) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“ გადაცემის მიზნით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით, კი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი გადასაცემი უძრავი ქონება სწორედ ძირითადი (განუსხვისებელი) კატეგორიის მქონე უძრავ ქონებას (ს/კ 27.04.51.275), წარმოადგენს, სადაც სამსახურის დაზუსტებით, იქ დღეის მდგომარეობით ნიგოითის საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ აღნიშნულ შენობაში დარჩება მერის წარმომადგენელი. ასევე ფუნქციონირებას გააგრძელებს ლიბერთი ბანკის მომსახურებაც.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის **ზაზა წულაძის** აზრით, სიტყვიერი შეთანხმების სანაცვლოდ უფრო უპრიანი იქნება, აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში მერის წარმომადგენლისა და სპეციალისტების დარჩენის შესახებ მუხლში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ამირან ქანთარია.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამის შესახებ ესაუბრა სააგენტოს ხელმძღვანელს, რომელიც ნამდვილად არ არის წინააღმდეგი შენობაში დარჩეს მერის წარმომადგენელი სპეციალისტებთან ერთად. პირიქით, ეს მისთვის უფრო ხელსაყრელია, რადგან საზოგადოებრივი ცენტრის პირველი ამოცანაა მოქალაქეებს მოემსახუროს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 56 (28.10.2019)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

